საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება № 01-11/240

ქ. ბათუმი 22 აგვისტო 2017

სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით დამტკიცებულია სამინისტროს პროგრამა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა" და მისი ქვეპროგრამა ,,საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება". აღნიშნული ქვეპროგრამით გათვალისწინებულია სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მშენებლობა, რის თაობაზეც გაფორმებულია ხელშეკრულება (NAT170004709) და მიმდინარეობს სამუშაოები.

ამავე ქვეპროგრამით გათვალისწინებულია საავტორო ზედამხედველობის თანხები მხოლოდ ახალი შენობების მშენებლობის, მათ შორის, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მშენებლობის სამუშაოებზე.

შესაბამისად, არსებობს საავტორო ზედამხედველობის შესყიდვის საჭიროების შემდეგი გარემოებები:

1. ზემოაღნიშნული ქვეპროგრამა ახალი შენობების მშენებლობებზე ითვალისწინებს საავტორო ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვას;
2. მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში, რიგი ფაქტორებიდან გამომდინარე საჭიროა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება. ამ დროისათვის მშენებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილია კორესპონდენცია, რომელიც საჭიროებს საპროექტო გადაწყვეტილების მიღებას პროექტის ავტორისგან;
3. საჭიროა მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შესრულების კონტროლი, რათა შემდგომში ხელი არ შეეშალოს შენობის ექსპლოატაციაში მიღებას.

საპროექტო დოკუმენტაცია 2015 წელს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA150026332) საშუალებით მომზადებულ იქნა სს ,,აჭარკაპმშენი"-ს მიერ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის შენობის საპროექტო დოკუმენტაციის საავტორო უფლება ეკუთვნის სს ,,აჭარკაპმშენს" (ს.კ.245423778) და მის გარდა, არცერთ სხვა პირს არ აქვს მასში ცვლილებების შეტანის უფლება. შესაბამისად, არ არსებობს ალტერნატივა მომსახურების სხვა პირისაგან შესასყიდად. აღნიშნული მომსახურების მოწოდება სს ,,აჭარკაპმშენი"-ს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა.

შესასყიდი მომსახურების ღირებულება შეადგენს 7500 ლარს, რაც განისაზღვრა საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

მომსახურება შესყიდულ უნდა იქნას ერთი შესყიდვით, რადგან მისი დანაწევრება შეუძლებელია, ვინაიდან, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს რამდენი ცვლილება უნდა შევიდეს პროექტში. ამასთან, მიმწოდებელი ყველა შემთხვევაში იქნება იგივე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროექტის ავტორი მშენებლობის ყველა ეტაპზე იყოს ჩართული სამშენებლო სამუშაოების წარმოებაში, რაც განისაზღვრება ხელშეკრულებით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით დამტკიცებული ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების'' 92-ე მუხლის შესაბამისად, საავტორო ზედამხედველობა არის არქიტექტორის ან/და ინჟინერ-დამპროექტებლის მიერ მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების შესრულების კონტროლი. ამასთან, "არქიტექტურული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სამშენებლო დოკუმენტაციის შემუშავებისას და არქიტექტურული ობიექტის მშენებლობისას პროექტში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მისი ავტორის თანხმობით. ამავე კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად - არქიტექტურული ობიექტის მესაკუთრე, რომელსაც განზრახული აქვს ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლა, ვალდებულია მიიღოს არქიტექტურული პროექტის ავტორის ნებართვა ან მოიწვიოს იგი არქიტექტურულ ობიექტში ცვლილებების შეტანის მიზნით საპროექტო სამუშაოს შესასრულებლად.

,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების შესაბამისად, მიზანშეწონილია მიღებულ იქნას გადაწყვეტილება აღნიშნული მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე, რადგან მისი მოწოდება მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვით, თუ საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 21 აგვისტოს N964204 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის საჯარო სკოლის მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, ღირებულებით 7500 ლარი, განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტს დაევალოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებისათვის, შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა უზრუნველყოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის. ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9), კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

სულიკო თებიძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი